ძალაშია 1997 წლის 12 დეკემბრიდან

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სასაზღვრო საკითხებში თანამშრომლობის შესახებ

საქართველო და აზერბაიჯანის რესპუბლიკა, შემდგომში მხარეებად წოდებულნი:

ეყრდნობიან რა 1996 წლის 8 მარტის ხელშკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუშიშროების განმტკიცების შესახებ:

ხელმძღვანელობენ რა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, სურვილით განავითარონ მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობები და ხელი შეუწყონ ურთიერთუშიშროების უზრუნველყრფას:

გამოხატავენ რა დაინტერესებას განახორციელონ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიო საზღვრების დაცვის პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად;

აღიარებენ რა, რომ ამ მიზნების მიღწევის ერთ_ერთ ეფექტურ გზას მხარეთა სასაზღვრო ჯარების თანამშრომლობა წარმოადგენს;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელებენ თანამშრომლობას სასაზღვრო საკითხებში.

საქართველოს სახელმწიფო საზღრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი (შემდგომში საქართველოს სსდსდ) და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამინისტროს სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველო (შემდგომში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეუს სჯმს) სასაზღვრო საკითხებში თანამშრომლობას განახორციელებენ შემდეგი მიმართულებებით:

_ორივე მხარისათვის საინტერესო ინფორმაციის გაცვლა;

_ ოპერატიულ_სამძებრო საქმიანობა სახელმწიფო საზღვრების დაცვის ინტერესების შესაბამისად;

_ საქართველო_აზერბაიჯანის საზღვარზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობის, ტერორიზმის, იარაღის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების, რადოაქტიური მასალების კონტრაბანდის, კულტურული ფასეულობების უკანონო შეტანის და გატანის, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრზე და სასაზღვრ_გამშვებ პუნქტებში სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის აღსაკვეთად ზომების განხორციელება;

_ საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტროლის ორგანიზაციის გამოცდილების გაცვლა;

_ დახმარების გაწევა მხარეთა სასაზღვრო ჯარების საქმიანობის მატერიალურ_ტექნიკური უზრუნველყოფაში.

მუხლი 2

საქართველოს სსდსდ და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეუს სჯმს ურთიერთშეთანხმებით უზრუნველყოფენ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სფეროში ორივე მხარისათვის საინტერესო ინფორმაციის დროულ გაცვლას, მათ შორის საკონონმდებლო და სხვა ღია ნორმატიული აქტებისა, რომლებიც სახელმწიფო საზღვარს და მის რეჟიმს ეხება.

მუხლი 3

მხარეები ითანამშრომლებენ სასზღვრო ჯარებისა და სხვა ორგანოების, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის დაცვის სფეროში თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ, საქმიანობის თაობაზე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების დაცვის უზრუნველსაყოფად და არ გადასცემენ ვინც არ უნდა იყოს იგი ერთმანეთისაგან მიღებულ ნებიმიერ მასალასა და ინფორმაციას იმ მხარის წერილობითი ნებართვის გარეშე, რომლისაგანაც მიღებულია ეს მასალები და ინფორმაცია.

მუხლი 4

საქართველოს სსდსდ და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეუს სჯმს ითანამშრომლებენ ოპერატიულ_სამძებრო საქმიანობის საკითხებში, მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად, ცალკე ოქმის საფუძველზე.

მუხლი 5

მხარეთა სასაზღვრო ჯარები, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებთან ურთიერთქმედებით, განახორციელებენ შეთანხმებულ ღონისძიებებს საქართველო_აზერბაიჯანის საზღვარზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობის, ტერორიზმის, იარაღის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპიული ნივთიერებების, რადიოაქტიური მასალების კონტრაბანდის, კულტურული ფასეულობების უკანონო შეტანისა და გატანის, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე და სასაზღვრო_გამშვებ პუნქტებში სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის აღსაკვეთად.

მუხლი 6

მხარეთა სასზღვრო ჯარები, სახელშეკრულებო პირობებით, უზრუნველყოფენ თავიანთ სამკურნალო_პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ყლოფილი სსრ კავშირის, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სამხედრო მოსამსახურეების პენსიონერებისა (რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ სამედიცინო უზრუნველყოფის უფლება) და მათი ოჯახების წევრების მიღებას გამოსაკვლევად,

სამკურნალოდ (ჰოსპიტალიზაციისათვის), აგრეთვე საუწყებო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში საგზურების გამოყოფას, გამგზავნი მხარის ხარჯზე.

მუხლი 7

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, ცალკე ოქმის საფუძველზე, მხარეები ერთმანეთს აღმოუჩენენ დახმარებას სასასზღვრო ჯარების სპეციალური ტექნიკითა და საზღვრის დაცვისათვის საჭირო სხვა მატერიალური საშუალებებით მატერიალურ_ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

მუხლი 8

მათ შორის მოქმედი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დებულებათა შესაბამისად, მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ხელშემწყობი პირობებისა და უსაფრთხო საქმიანობის უზრუნველყოფას მხარეთა იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე საერთაშორისო კომპანიების საქმიანობისათვის, რომლებიც ახორციელებენ საქართველო_აზერბაიჯანის საზღვარზე გამავალი საერთაშორისო კომუნიკაციების მშენებლობასა და ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფას.

მუხლი 9

საკითხებს, რომლებიც წარმოიშვება წინამდებარე შეთანხმების რეალიზაციისას, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკებებების, კონსულტაციების, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დროებითი მუშა ჯგუფების შექმნის გზით.

მუხლი 10

წინამდებარე შეთანხმების შესასრულებლად ზომების რეალიზაციისათვის მხარეები ავალებენ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დადონ შესაბამისი ოქმები, რომლებიც არ გასცილდება წინამდებარე შეთანხმების ჩარჩოებს.

მუხლი 11

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაცვლის დღიდან, იმოქმედებს ხუთი წლის განმავლობაში და ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო ხუთწლიანი პერიოდების განმავლობაში, თუ არცერთი მხარე წერილობითი შეტყობინების საშუალებით არ განაცხადებს თავისი სურვილის შესახებ შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება ექვსი თვით ადრე ვიდრე ამოიწურება მორიგი პერიოდი.

შესრულებულია ქ. ბაქოში 1997 წლის 18 თებერვალს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, ამათან სამივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა.

წინამდებარე შეთანხმების განმარტებისათვის გამოიყენება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს სახელით	აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელით